ასრულებული ოცნება

უოლტ დისნეი

2014-03-18



უოლტ დისნეი

შემდგენელი - ნათია დოღიძე
მთავარი რედაქტორი - ნინო დეკანოსიძე
რედაქტორი - ხათუნა ნონიაშვილი

კორექტორები - ნატალია ჩიმაკაძე, ლიკა თავართქილაძე
დიზაინერი - ლაშა გიორგაძე
დამკაბადონებელი - რუსუდან ონეზაშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2013
თბილისი, იოსებიძის ქ. №. 49
www.palitral.ge; E-mail: book@palitra.ge
www.facebook.com/Palitra.L.Publishing
ტელ.: 2 38-38-71

წიგნი მომზადდა ინტერნეტში მოპოვებული მასალების საფუძველზე.

. . .

ხშირად იმისთვის, რომ ოცნება აისრულო, უნდა გარისკო... გარისკო ყველაფრით, რაც გაგაჩნია. ყოველთვის უნდა გახსოვდეს შენი გზის დასაწყისი - ოცნებიდან მის ასრულებამდე, აი, სწორედ აქ შეიძლება იპოვო წარმატების საიდუმლო. მთავარია, გიყვარდეს საქმე, რომელსაც ხელს მოჰკიდებ. გახსოვდეს ისიც, რომ მხოლოდ პოზიტიურ და ბედნიერ ადამიანს შეუძლია წარმატების მიღწევა, - აი, ასე მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ დიდი მულტიპლიკატორის, უოლტ დისნეის წარმატების საიდუმლო.

დისნეიმ არცთუ ბედნიერი ბავშვობის შემდეგ შეძლო და აისრულა ოცნება, რომელმაც მთელ მსოფლიოს სიხარული მოუტანა. მისი მულტფილმები დღეს კლასიკაა. ფული უოლტ დისნეის ცხოვრებაში იყო მხოლოდ საშუალება, რომ განეხორციელებინა თავისი გადარეული იდეები. ის ხშირად რისკავდა, ზოგჯერ წარუმატებლადაც, მაგრამ ფარ-ხმალს არასდროს ყრიდა.

ოცნება და რისკი

ბავშვობა

უოლტერ (უოლტ) დისნეის ბიოგრაფთაგან ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მულტიპლიკატორი ანდალუზიაში, კერძოდ, დასახლება მოხაკარში დაიბადა. ამ ვერსიის მიხედვით, დისნეის დედა დამლაგებელი იზაბელ სამორა იყო. ქალი გათხოვილი არ ყოფილა, ბავშვის დაბადების შემდეგ კი გაემგზავრა ემიგრაციაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სიდუხჭირის გამო იძულებული გამხდარა, შვილი მეზობლად მცხოვრები ელიას და ფლორა დისნეების ოჯახისთვის მიეცა. ასე გახდა ხოსე გირაო სამორი უოლტერ ელიას დისნეი, თუმცა ეს უფრო ლეგენდაა.

ოფიციალური ბიოგრაფიის მიხედვით, უოლტ დისნეი 1901 წელს ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოში დაიბადა. მამა - ირლანდიელი, დედა კი გერმანელი ემიგრანტების შთამომავალი იყო. ელიას დისნეი ხურო გახლდათ და მშენებლობაზე მუშაობდა, ფლორა კი მასწავლებელი იყო, თუმცა ხშირად უმუშევარი რჩებოდა. დისნეებს ხუთი შვილი ჰყავდათ - ოთხი ბიჭი (უოლტი ნაბოლარა იყო) და ერთი ქალიშვილი.

ჩიკაგო იმ პერიოდისთვის წარმოადგენდა სწრაფად განვითარებად ქალაქს, რომელიც თვალსა და ხელს შუა ამერიკის გიგანტური სამრეწველო ცენტრი ხდებოდა. ამავდროულად, ამ ქალაქში ხშირი იყო კრიმინალური დანაშაული. სიღარიბესთან ერთად, ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლდათ, რის გამოც ელიას და ფლორა დისნეებმა გადაწყვიტეს, ჩიკაგოდან წასულიყვნენ ელიასის ძმასთან, რომელიც შტატ მისურის პატარა ქალაქ მარსელინში ცხოვრობდა. დისნეები ჩიკაგოდან 1906 წელს გადასახლდნენ. ელიასმა მარსელინის მახლობლად 18 ჰექტარი მიწის ნაკვეთი იყიდა და ფერმის მოწყობა გადაწყვიტა. პატარა უოლტმა ხატვის ნიჭი ადრეული ასაკიდანვე გამოამჟღავნა, თუმცა მშობლები უფულობის გამო შვილისთვის სახატავ ფანქრებსა და ქაღალდს ვერ ყიდულობდნენ. ელიას დისნეის მეტად უხეში და მძიმე ხასიათი ჰქონდა, ცოლ-შვილი ხშირად ხდებოდა მისი რისხვის მსხვერპლი. მამის სიმკაცრემ პატარა უოლტი დააეჭვა, რომ იგი ნაშვილები იყო. მოგვიანებით დისნეის

ბიოგრაფებმაც დაიწყეს ამ ვერსიის გამოკვლევა.

მარსელინში ჩასვლიდან მოკლე ხანში უოლტს პატარა ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი უკვე იცნობდა, მისი ცნობისმოყვარეობა და მხიარული ხასიათი გულგრილს არავის ტოვებდა. ბიჭი გარშემომყოფთა გულის მოგებას ადვილად ახერხებდა. მეზობლებსა და უბრალო ნაცნობებს დისნეების პატარა ბიჭი ძალიან უყვარდათ. უოლტმა მარსელინელებს თავი განსაკუთრებული ნიჭითაც დაამახსოვრა. მან მეზობლად მცხოვრებ ხანში შესულ ვეტერინარ დოქტორ შერვუდს საყვარელი ცხენი ისე დაუხატა, რომ ეს უკანასკნელი აღტაცებას ვერ მალავდა და ნახატზე აღბეჭდილ ფაშატს ყველას აჩვენებდა. მისტერ შერვუდმა 7 წლის უოლტს ამ ნამუშევრისთვის 25 ცენტი გადაუხადა. მოგვიანებით დისნეი ამბობდა, რომ სწორედ ამ წარმატებულმა ნახატმა უბიძგა მხატვრობისკენ.

ფერმაში გაზრდილ უოლტს ცხოველები განსაკუთრებულად უყვარდა. ხშირად ეთამაშებოდა მაწანწალა ძაღლებს, ჩიტებსა თუ მწერებს. ცდილობდა, ეზრუნა მათზე. იგი ეკამათებოდა გლეხებს, რომლებიც ციყვებს, ვირთხებსა თუ კურდღლებს ბოსტნებში არ უშვებდნენ, რათა ნათესები არ გაენადგურებინათ. მათ ეუბნებოდა: